

შპს „აისბერგ ფოთი“
ფინანსური ანგარიშგება
აუდიტის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალის მოძრაობის უწყისი	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები.....	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	19
5 . ძირითადი საშუალებები	20
6. მარაგები.....	21
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
9. კაპიტალი.....	21
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22
11. ამონაგები.....	22
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
13. სხვა შემოსავალი/(ხარჯები).....	23
14. სხვა შემოსავალი/(ზარალი) - წმინდა.....	23
15. ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯი).....	23
16. მოგების გადასახადი	23
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	24
18. ფუნქციონირებადი საწარმო	25
19. გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აისბერგ ფოთის“ მენეჯმენტს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აისბერგ ფოთის“ (ს/ნ 404879985) (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის უწყისს - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს შპს „აისბერგ ფოთის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან „ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი), ასევე საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად და ვასრულებთ ჩვენს სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებს IESBA კოდექსის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან/და შეწყვიტოს მუშაობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ას-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე:

- ❖ ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიძულებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ❖ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- ❖ სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ❖ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა. ჩვენ ასევე

მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

შპს “BMG Consulting”-ის (SARAS-F-659025) სახელით

ანა აფრიაშვილი (SARAS-A-104236)

გარიგების პარტნიორი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'S. Ash.'.

30 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს „აისბერგ ფოთი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	5 364 187	5 358 831	5 598 738
არამატერიალური აქტივები	5	28 532	33 567	38 991
სულ გრძელვადიანი აქტივები		5 392 719	5 392 398	5 637 729
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6	160 616	183 727	133 326
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1 072 282	1 434 165	939 857
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	87 878	897 537	71 652
სულ მიმდინარე აქტივები		1 320 776	2 515 429	1 144 835
სულ აქტივები		6 713 496	7 907 827	6 782 564
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	9	4 831 035	6 216 785	4 995 803
გადაფასების რეზერვი		1 449 189	1 449 189	1 449 189
სულ საკუთარი კაპიტალი		6 280 224	7 665 973	6 444 992
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		119 970	130 220	531 851
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	313 302	111 634	(194 278)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		433 272	241 854	337 573
სულ ვალდებულება და კაპიტალი		6 713 496	7 907 827	6 782 564

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

მთ. ბულალტერი

ირაკლი ცეკვაშვილი

მაკა ჯიქია

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აისბერგ ფოთი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

გაერთიანებული გადაწყვეტილებები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	5 364 187	5 358 831	5 598 738
არამატერიალური აქტივები	5	28 532	33 567	38 991
სულ გრძელვადიანი აქტივები		5 392 719	5 392 398	5 637 729
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6	160 616	183 727	133 326
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1 072 282	1 434 165	939 857
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	87 878	897 537	71 652
სულ მიმდინარე აქტივები		1 320 776	2 515 429	1 144 835
სულ აქტივები		6 713 496	7 907 827	6 782 564
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	9	4 831 035	6 216 785	4 995 803
გადაფასების რეზერვი		1 449 189	1 449 189	1 449 189
სულ საკუთარი კაპიტალი		6 280 224	7 665 973	6 444 992
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		119 970	130 220	531 851
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	313 302	111 634	(194 278)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		433 272	241 854	337 573
სულ ვალდებულება და კაპიტალი		6 713 496	7 907 827	6 782 564

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი

ირაკლი ცეცვაშვილი



მთ. ბულალტერი

მაცა ჯიქია

შპს „აისბერგ ფოთი“

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	11	9 661 911	9 662 169
თვითღირებულება		(156 338)	(3 588)
საერთო მოგება		9 505 573	9 658 582
სხვა შემოსავლები	13	36 538	3 419
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(5 587 287)	(5 200 214)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	8 758	(63 761)
სხვა ხარჯები	13	(6 447)	(11 230)
საოპერაციო მოგება		3 957 134	4 386 795
ფინანსური შემოსავალი	15	1 932	-
ფინანსური ხარჯი	15	(11 763)	(27 777)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(9 831)	(27 777)
მოგება დაბეგვრამდე		3 947 303	4 359 018
მოგების გადასახადი	16	(263 363)	(78 076)
წმინდა მოგება		3 683 939	4 280 942

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

ირაკლი ცეკვაშვილი

მთ. ბუღალტერი

მაკა ჯიქია

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აისბერგ ფოთი“

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	11	9 661 911	9 662 169
თვითღირებულება		(156 338)	(3 588)
საერთო მოგება		9 505 573	9 658 582
სხვა შემოსავლები	13	36 538	3 419
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(5 587 287)	(5 200 214)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	8 758	(63 761)
სხვა ხარჯები	13	(6 447)	(11 230)
საოპერაციო მოგება		3 957 134	4 386 795
ფინანსური შემოსავალი	15	1 932	-
ფინანსური ხარჯი	15	(11 763)	(27 777)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(9 831)	(27 777)
მოგება დაბეგვრამდე		3 947 303	4 359 018
მოგების გადასახადი	16	(263 363)	(78 076)
წმინდა მოგება		3 683 939	4 280 942

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და
ხელმოწერილია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:


დირექტორი
ირაკლი ცეკვაშვილი


მთ. ბუღალტერი
მაკა ჯიქია

შპს „აისბერგ ფოთი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		3 683 939	4 280 942
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		894 390	731 669
- გადასახადები	16	263 363	78 076
- ცვეთა	5	621 196	620 970
- მიღებული პროცენტი		(1 932)	
- დარიცხული პროცენტი		11 763	27 777
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გავლიდან			4 846
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		586 662	(238 406)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		371 294	(465 649)
- მარაგები		23 112	(50 401)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		211 134	(106 185)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(9 466)	412 097
- წინასწარ გაწეული ხარჯი		(9 412)	(28 268)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		5 164 992	4 774 205
- მიღებული პროცენტი		1 932	
- გადახდილი პროცენტები		(11 763)	(27 777)
- გადახდილი მოგების გადასახადი		(263 363)	(78 467)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4 891 798	4 667 961
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა		(621 516)	(390 000)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები			9 515
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(621 516)	(380 485)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)			-
- სასესხო ვალდებულების ზრდა			
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		(10 250)	(401 631)
- გადახდილი დივიდენდები		(5 069 690)	(3 059 960)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(5 079 940)	(3 461 591)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)			
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი		(809 658)	825 885
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		897 537	71 652
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		87 878	897 537

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ირაკლი ცეკვაშვილი

მაკა ჯიქია

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აისბერგ ფოთი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		3 683 939	4 280 942
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის		894 390	731 669
- გადასახადები	16	263 363	78 076
- ცვეთა	5	621 196	620 970
- მიღებული პროცენტი		(1 932)	
- დარიცხული პროცენტი		11 763	27 777
- (შემოსულობა) / ხარალი ძირითადი საშუალებების გახვლიდან			4 846
ცვლილებები საშუაო კაპიტალში		586 662	(238 406)
- საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		371 294	(465 649)
- მარაგები		23 112	(50 401)
- საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		211 134	(108 185)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(9 466)	412 097
- წინასწარ გაწეული ხარჯი		(9 412)	(28 268)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		5 164 992	4 774 205
- მიღებული პროცენტი		1 932	
- გადახდილი პროცენტები		(11 763)	(27 777)
- გადახდილი მოგების გადასახადი		(263 363)	(78 467)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4 891 798	4 667 961
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა		(621 516)	(390 000)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები			9 515
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(621 516)	(380 485)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)			-
- სასესხო ვალდებულების ზრდა			
- სასესხო ვალდებულების დაფარვა		(10 250)	(401 631)
- გადახდილი დივიდენდები		(5 069 690)	(3 059 960)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(5 079 940)	(3 461 591)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)			
		(809 658)	825 885
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი			
		897 537	71 652
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი			
		87 878	897 537

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

ირაკლი ცეკვაშვილი

მთ. ბუღალტერი

მაცა ჯიქია

შპს „აისბერგ ფოთი“

კაპიტალის მოძრაობის უწყისი
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი		6 444 992	6 444 992
წმინდა მოგება		4 280 942	4 280 942
გაცემული დივიდენდები		(3 059 960)	(3 059 960)
2017 წლის 31 დეკემბერი		7 665 973	7 665 973
წმინდა მოგება		3 683 939	3 683 939
გაცემული დივიდენდები		(5 069 690)	(5 069 690)
2018 წლის 31 დეკემბერი		6 280 224	6 280 224

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

ირაკლი ცეკვაშვილი

მთ. ბუღალტერი

მაკა ჯიქია

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აისბერგ ფოთი“

კაპიტალის მოძრაობის უწყისი
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი		6 444 992	6 444 992
წმინდა მოგება		4 280 942	4 280 942
გაცემული დივიდენდები		(3 059 960)	(3 059 960)
2017 წლის 31 დეკემბერი		7 665 973	7 665 973
წმინდა მოგება		3 683 939	3 683 939
გაცემული დივიდენდები		(5 069 690)	(5 069 690)
2018 წლის 31 დეკემბერი		6 280 224	6 280 224

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი

ირაკლი ციკვაშვილი



მთ. ბუღალტერი

მაცა ჯიქია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აისბერგ ფოთი“ დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2010 წლის 28 ნოემბერს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 404879985. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №7. კომპანიის 60%-იანი წილის მფლობელია შპს „ბ ენდ ჯ“ (ს/კ 202218803), 40%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი იგორ მარტინოვი (710204300166, N08564756, N11421560).

შპს „აისბერგ ფოთის“ ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ტვირთების დასაწყობება-შენახვა, ექსპედიერება.

2. კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოს აქვს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირად იცვლება. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ზომებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ საკითხებთან ერთად. კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რა გავლენა, თუ ასეთი იქნება, შეიძლება ჰქონდეს მას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. წლის ბოლოსათვის, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშებში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2,5922	3,1044

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება ტრანზაქციის ფასით. ტრანზაქციის ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სასარგებლოდ ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურება იყო გაწეული.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება, როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

იჯარა

მსს ფასს-ის მე 20 განყოფილება იჯარის კლასიფიკაციას ახდენს ჩვეულებრივ ანუ საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად. მსს ფასს 20.4-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საოპერაციო იჯარა წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის შემოსავალს/ხარჯს, ხოლო ფინანსური იჯარის აღიარება მოიჯარის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა მოხდეს როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში, ხოლო მეიჯარის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს როგორც მოთხოვნა, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ საოპერაციო იჯარა, შესაბამისად მიღებული შემოსავალი და ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის შემოსავალს/ხარჯს.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე. წ. „ესტონური მოდელი“), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები).

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: 1) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან, ან 2) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელ დღეს აკლდება ჩასათვლედი დღე, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის გადახდა ნეტო საფუძველზე. გადასახდელი დღე, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადავადდება 5 ან 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელსაც 20% ან მეტი აქვთ ჩათვლის უფლების გარეშე დღე-სგან გათავისუფლებული ბრუნვა.

გადასახადები გარდა მოგების და დღე-ის გადასახადებისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წლამდე
მანქანა დანადგარები	5-10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	5 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წლამდე
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	10-15 წლამდე
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	5-10 წლამდე

ძირითადი საშუალებების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 7 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

კომპანიის ბალანსზე ასახული არამატერიალური აქტივები შედგება კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისა და ნებართვებისგან.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

3. მნიშვნელოვანი საადრეო პოლიტიკა (გაგრძელება)

სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეძენილი და საქმიანობის პროცესში გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ასახვა ხორციელდება ბალანსის შესაბამის ანგარიშებზე, მისი გამოყენების ფორმის მიხედვით. მარაგების ძირითადი სახეებია - საწვავ-საცხები მასალები, სათადარიგო ნაწილები, სამშენებლო მასალები და სხვა დამხმარე მასალები. საქმიანობის პროცესში ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გამოყენება-გახარჯვა და ჩამოწერა ყოველი თვის ბოლოს მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე, საშუალო შეწონილი მეთოდით (რაც შესაძარსია პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილი თვითღირებულებების).

მცირეფასიანი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები პირდაპირ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობის გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსურ აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტორის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია ;
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო;

ფინანსური აქტივები რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეს ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისაგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული განსაზღვრული გადახდებით, მათ გარდა, რომლებიც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს, რომ ახლო მომავალში გაყიდოს. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანებები შედგება „სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა“ და „ფული და ფულის ეკვივალენტებისგან“, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით, ფინანსური ვალდებულებები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებისგან და გადასახდელი ბრძელვადიანი სესხებისგან.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში, როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულებების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულებების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით, კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცემულობით, რა მოცემულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა, დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებისა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ცვეთის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

სასამართლო დავები

სასამართლო დავებიდან ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. სასამართლო დავის შედეგები დამოკიდებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობაზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ, დამდგარმა ერთმა ან მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულის ნაკადზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5 . ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი	მსუბუქი ავტომობილებ ი	ელექტრო მრავები და ელექტროგადამცემი ს საშუალებები	ვიდეოკონტროლი ს სისტემა და კომპიუტერული ტექნიკა	ინვენტარ ი და გათბობის სისტემებ ი	ტერიტორიის კეთილმოწყობა , მიმოსვლის გზები	სხვა ამორტიზირებად ი ძირითადი საშუალებები	არამატერია ლური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2016	515 777	2 669 002	299 294	2 581 637	29 118	348 286	132 693	73 783	405 611	1 510 469	90 831	8 656 503
შემოსვლა	81 450	77 303	13 216	71 580	27 142	10 563	12 746	6 857	7 884	80 758	500	390 000
გადაფასება												-
გასვლა					(9 442)					(4 919)		(14 361)
31 დეკემბერი 2017	597 227	2 746 305	312 510	2 653 217	46 818	358 849	145 440	80 640	413 496	1 586 308	91 331	9 032 142
შემოსვლა	750	151 131	15 496	324 404	18 700	9 760	11 058	26 198	6 573	57 446		621 516
გადაფასება												-
გასვლა												-
31 დეკემბერი 2018	597 977	2 897 436	328 006	2 977 621	65 518	368 609	156 498	106 838	420 069	1 643 755	91 331	9 653 658
ცვეთა და გაუფასურება												-
31 დეკემბერი 2016 დაგროვილი ცვეთა		(556 000)	(59 158)	(1 313 112)	(12 922)	(77 486)	(68 043)	(39 949)	(248 740)	(591 523)	(51 841)	(3 018 773)
პერიოდის ცვეთა		(109 515)	(12 668)	(268 021)	(6 779)	(22 509)	(15 479)	(6 996)	(24 090)	(148 989)	(5 924)	(620 970)
გასვლა												-
31 დეკემბერი 2017 დაგროვილი ცვეთა		(665 515)	(71 825)	(1 581 133)	(19 701)	(99 995)	(83 522)	(46 945)	(272 831)	(740 512)	(57 764)	(3 639 744)
პერიოდის ცვეთა		(111 596)	(12 809)	(279 298)	(9 163)	(21 489)	(14 595)	(10 786)	(21 494)	(134 932)	(5 034)	(621 196)
გასვლა												-
31 დეკემბერი 2018 დაგროვილი ცვეთა		(777 111)	(84 634)	(1 860 431)	(28 864)	(121 485)	(98 117)	(57 730)	(294 324)	(875 444)	(62 799)	(4 260 939)
წმინდა საბალანსო ღირებულება												
31 დეკემბერი 2016	515 777	2 113 002	240 136	1 268 525	16 197	270 800	64 651	33 834	156 871	918 946	38 991	5 637 729
31 დეკემბერი 2017	597 227	2 080 789	240 685	1 072 084	27 117	258 854	61 918	33 696	140 665	845 796	33 567	5 392 398
31 დეკემბერი 2018	597 977	2 120 324	243 372	1 117 190	36 654	247 125	58 381	49 108	125 744	768 311	28 533	5 392 719

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

6. მარაგები

- სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
- საქონელი	17,097	16,957	20,535
- საწვავ საცხები მასალები	1,778	1,255	1,510
- სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	141,740	165,516	111,282
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	160,616	183,727	133,326

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
მოთხოვნები მიწოდებიდან ან მომსახურებიდან	923,465	1,302,716	888,644
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	72,021	64,064	12,487
წინასწარ გაწეული ხარჯი	76,796	67,385	38,726
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,072,282	1,434,165	939,857

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2018	31.01.2017	01.01.2017
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,473	3,164	12,355
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში (აშშ დოლარი)	39,764	813,432	52,936
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში (ევრო)	1,850	13	106
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	44,726	80,862	6,190
ნაღდი ფული სალაროში (აშშ დოლარი)	65	65	65
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	87,878	897,537	71,652

9. კაპიტალი

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შეზღუდულია დივიდენდებზე განაწილებისგან იმ ოდენობის ფარგლებში რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში. დივიდენდები გაიცემა პერიოდულობით, გამომუშავებული მოგების გათვალისწინებით და ხორციელდება დარიცხვა მასთან დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით. დამატებითი ინფორმაცია გაუნაწილებელი მოგებისა და დივიდენდების თანხების მოძრაობის შესახებ იხილეთ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშში.

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
სავაჭრო ვალდებულებები	137,776	101,461	189,537
მიღებული ავანსები	128,727	377	384
გადასახდელი ხელფასი	15,853	0	18,652
საგადასახადო ვალდებულებები	(221)	9,245	(402,852)
ვალდებულებები საბაჟოს წინაშე	30,396	127	0
ვალდებულება ანგ. ვალდებულ პირის მიმართ	771	423	0
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	313,302	111,634	(194,278)

11. ამონაგები

საქმიანობიდან გამომდინარე კომპანიას აქვს როგორც დაუბეგრავი, ასევე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები. დაუბეგრავ ბრუნვაში გაერთიანებულია ისეთი მომსახურებები, როგორიცაა - ტვირთების სატერმინალო მომსახურება, გადმოტვირთვა - ჩატვირთვა; საბაჟო საწყობში ტვირთების შენახვა-დაზღვევა გაფორმება და ა. შ. დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გაერთიანებულია როგორც საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, ასევე მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, როგორიცაა: საწყობში დატვირთვის სამუშაოები, ტვირთების შენახვიდან მიღებული შემოსავალი, საიჯარო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და სხვა.

საოპერაციო შემოსავლები	2018	2017
შემოსავლები რეალიზაციიდან	9,661,911	9,662,169
სულ საოპერაციო შემოსავლები	9,661,911	9,662,169

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2017
შრომის ანაზღაურება	2,068,905	2,101,693
სანოტარო საჯარო რეესტრის მომსახურება	1,930	356
დასუფთავების მოსაკრებელი	5,648	5,373
საიჯარო ქირა	641	1,098
მსუბუქი ავტომობილების იჯარა	1500	1,500
საკანცელარიო ხარჯები	9,021	8,616
კომპიუტერის ხარჯები	5,996	5,542
კომუნიკაციის ხარჯები	16,326	10,943
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	14,494	14,599
საწვავის ხარჯები	13,824	12,663
ელექტრო ენერგია და გაზი	509,897	476,664
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	30,200	21,538

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ცვეთა და ამორტიზაცია	621,196	620,970
საგადასახადო ხარჯები	133,865	3,485
საბანკო ხარჯები	6,598	4,524
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	129,342	130,906
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,395	490
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	2,008,734	1,771,041
საქველმოქმედო ხარჯი	7,475	6,613
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები რომელიც არ გამოიქვითება	300	1600
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5,587,287	5,200,214

13. სხვა შემოსავალი/(ხარჯები)

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	2018	2017
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	0	73
არასაოპერაციო შემოსავალი	36,538	3,346
სულ სხვა შემოსავლები	36,538	3,419
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	0	(4,919)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(4,351)	(5,921)
საგადასახადო ხარჯი	(2,096)	(390)
სულ სხვა ხარჯები	(6,447)	(11,230)

14. სხვა შემოსავალი/(ზარალი) - წმინდა

	2018	2017
სავალუტო კურსთაშორის სხვაობა	(63,761)	8,758

15. ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯი)

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	1,932	0
საპროცენტო ხარჯი	11,763	27,777

16. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადით იზეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტი პირები საქართველოში. მოგების გადასახადით დაბეგრას აღარ ექვემდებარება კომპანიის მიერ წლის განმავლობაში მიღებული მოგება.

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, შესაბამისი პერიოდისთვის დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. დარიცხული მოგების გადასახადი წარმოადგენს ფიზიკურ პირზე გაცემული დივიდენდის მოგების გადასახადს, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;

(დ) საზოგადოების, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული თანხები:

	2018 წლის	2017 წლის
	31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დირექტორატისთვის გადახდილი ხელფასი	367 500	335 254
დამფუძნებლებზე გაცემული დივიდენდები	5 069 690	3 059 960
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ხელფასი და სხვა სარგებელი	5 437 190	3 395 214

8-25 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

18. ფუნქციონირებადი საწარმო

მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლოეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

19. გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში დივიდენდის სახით გაცემულია 2 651 792,96 ლარი.